

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/06

ქ. ბათუმი

18 იანვარი, 2023 წ.

სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ
ბრძანების გამოსაცემად 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის“, „ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, „2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 05 აგვისტოს №01-02/196 ბრძანების, „ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 იანვრის №01-08/05 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №01-08/41 ბრძანებით), „2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტთა მიმართ სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოსაცემად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 13 იანვრის №01-02/03 ბრძანების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 16 იანვრის N01-14/12 ბრძანების (ბსუ-ს რექტორის მივლინების შესახებ), „ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 26 ნოემბრის N01-02/211 ბრძანების, ბსუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსის 2023 წლის 17 იანვრის N38938 და 17 იანვრის N39905 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად იმ სტუდენტთა (დანართი N1) მიმართ, რომლებსაც 2023 წლის 17 იანვრის მდგომარეობით სრულად არ გადაუხდიათ სწავლის საფასური და ერიცხებათ მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ან/და გასული სასწავლო წლის/სემესტრის/სემესტრების სწავლის საფასურის დავალიანება.
2. დაინტერესებულ პირებს (სტუდენტებს), ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განემარტოთ, რომ შეუძლიათ ბსუ-ს პორტალის/საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარიის) მეშვეობით წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ სამართლებრივ აქტთან დაკავშირებით.
3. სტუდენტთა მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება გამოიცეს ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის შესაბამისად.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს შესაბამის სტუდენტებს, ბსუ-ს პორტალის მეშვეობით (დანართის შესაბამისი ნაწილის ამონარიდები, სხვა სტუდენტების იდენტიფიცირების გარეშე), ასევე ფაკულტეტების ადმინისტრაციებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ სტუდენტთათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი



ანზორ ბერიძე

